

ოჯახში ძალადობის საქმეებზე მტკიცებულებითი სტანდარტები და მათი
მოპოვების სირთულეები

დათა კვარაცხელია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის
შესაბამისად*

პროგრამა: სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გოგა ხატიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

დათა კვარაცხელია

01/05/2023

აბსტრაქტი

ოჯახში ძალადობაში მოიაზრება ქმედება, რომლის დროსაც ხორციელდება ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრზე ფსიქოლოგიური, ფიზიკური, სექსუალური, ეკონომიკური სახის ძალადობა ან იძულება. სტატისტიკის მიხედვით ოჯახში ძალადობის ყველაზე ხშირად ფიქსირდება ცოლ-ქმარს შორის. აქვე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი დაფიქსირებულ შემთხვევათა უმეტესობაში ქალია,¹ რაც მიუთითებს იმაზე, რომ ოჯახში ძალადობა არაპროპორციულად უარყოფით გავლენას ახდენს ქალებზე, თუმცა ოჯახში ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს სხვა პირიც. ოჯახში ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმა კი არის - ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა.

ოჯახში ძალადობა სპეციფიკური ბუნების დანაშაულია და აღნიშნული ტიპის საქმეები მტკიცებულების სიმწირით გამოირჩევა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მართლმსაჯულების განხორციელებას. აღნიშნულის გათვალისწინებით კვლევის მიზანია - ოჯახში ძალადობის ფაქტებზე მტკიცებულებების მოპოვებასთან დაკავშირებული სირთულეებისა და კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირების გზით გამოაშკაროს ის ნაკლოვანებები, რომლებიც აფერხებს ოჯახში ძალადობის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებას.

კვლევის ფარგლებში გამოყენებულია შემდეგი სახის მეთოდები - შედარებითი მეთოდი, ისტორიულ სამართლებრივი მეთოდი, დოქტრინალური მეთოდი, აღწერითი/მიმოხილვის მეთოდი, პრაქტიკის კვლევის მეთოდი. თითოეულ მათგანის შედეგად მოპოვებული მასალა საშუალებას აძლევს მკითხველს დეტალური ინფორმაცია მიიღოს საკვლევი თემის გარშემო.

საკვანძო სიტყვები: ოჯახში ძალადობა, ირიბი მტკიცებულება, მტკიცებულების მოპოვების სირთულეები; მტკიცებულებითი სტანდარტები, დაზარალებული.

¹ ოჯახში ძალადობის სტატისტიკა -2015-2022წ
<https://info.police.ge/page?id=102>

Abstract

Domestic violence is defined as an act during which psychological, physical, sexual, economic, coercive violence or compulsion is being committed by one family member on another family member. According to statistics, domestic violence is most often domestic violence takes place between husband and wife. Herein it should be noted the fact that the victim of violence is a woman in most of the recorded cases, which indicates that domestic violence has a disproportionately negative impact on women, although other person can become victims of domestic violence, and the most common form of domestic violence are psychological and physical violence.

Domestic violence is a crime of a specific nature, and these types of cases are characterized by a lack of evidence, which significantly hinders the implementation of justice. Taking into account the above, the aim of the study is to reveal the shortcomings that hinder the implementation of justice in domestic violence cases by identifying the difficulties related to obtaining evidence on domestic violence cases and the gaps in the legislation.

The following types of methods are used within the framework of the research - comparative method, historical legal method, doctrinal method, descriptive/review method, practice research method. The material obtained as a result of each of them allows the reader to get detailed information about the research topic.

Key words: domestic violence, circumstantial evidence, difficulties in obtaining evidence, evidentiary standards, victim.

მადლობა

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს ბატონ გოგა ხატიაშვილი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებისთვის, მხარდაჭერისთვის. გულწრფელად შემიძლია ვთქვა, რომ მისმა თანადგომამ და რეკომენდაციებმა მნიშვნელოვნად გამიმარტივეს ნაშრომზე მუშაობის პროცესი.